| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


ქართველთა ამხანაგობის
გამოცემა
თხზულებანი
**აკაკი**
**წერეთლისა**
ტომი I ლექსები
გადაეცა ამხანაგობის მაღაზიას
გასასყიდად
**ფასი 1 მან.**
(5—5)

---

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად
სხვა-და-სხვა ქალაქებს და დაბებში
**ლექსები სილოვანისა**
ფასი ათი შაური.
(6—5)


---

ტფილისი, 6 აპრილი

ამას წინად მკითხველებს მოვახსენეთ მოკლე ისტორია სეტყვისაგან დაზღვევის საქმისა როგორც საზღვარ გარედ, ისე რუსეთში.

როდესაც 1877 წ. მოსკოვში დაარსდა პირველი სეტყვისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება მთელს რუსეთისათვის, მაშინ ჩვენშიაც ლაპარაკი ჩამოვარდა ამ საქმის შესახებ. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ განიზრახა კიდეც საკუთარ საურთიერთო საზოგადოების დაარსება ჩვენის ვენახებისა და ზოგიერთ ძვირფას ნათესობის დასაზღვევად. მაგრამ ეს საქმე, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა, იქნება, უფრო დაუდევრობის გამო. მოსკოვის საზოგადოებამაც უნაყოფო ცდილობის შემდეგ მიატოვა ეს საქმე ღვთის ანაბარობაზედ. მარტო ამ $1^{1}/_{2}$—2 წლის წინად ხელახლად მოაგონა თავის აგენტების შემწეობით ჩვენს მეურნეებს, რომ ეს საზოგადოება, თავის წესდების მე 40 მუხლის ძალით, მიიღებს დასაზღვევად ჩვენს ვენახებს სეტყვისაგან ზარალის ასაცდენად, უკეთუ იმდენი მსურველნი აღმოჩნდნენ, რომ ისინი საერთოდ შეიტანენ დასაზღვევად 500,000 მან. მოსავალსაო.

ყველამ ვიცით, სეტყვა რა დიდს ზარალს აძლევს ჩვენს ვენახის პატრონებს, მეტადრე კახეთში, მაგრამ აქნობამდის საერთო ზარალის მეტ-ნაკლებობაზედ თითქმის სრულიად არათერი სარწმუნო ცნობანი არა გვაქვს. მხოლოდ ათასში ერთხელ, როდესაც სეტყვა დიდს ზარალს მოგვაყენებს კარს, ადგილობრივის პოლიციის აგენტები შეატყობინებენ ხოლმე გუბერნატორს, რომელიც ვალდებულია ამ გვარი მოულოდნელი უბედურება მოაქციოს თავის ყოველწლიურს ანგარიშში პეტერბურგს გასაგზავნად და უმაღლესად მოსახსენებლად. რა თქმა უნდა, ამ გვარ ანგარიშებში, რომელნიც შეეხებიან გუბერნიის ყოველსავე გარემოებას და მხოლოდ იშვიათად იხსენებენ სეტყვისაგან დაზარალებას, მოხსენებულია და აღნიშნული მარტო მცირეოდენი ნაწილი იმ დიდის ზარალისა, რომელიც მოაქვს სეტყვას. მაგრამ ეს მცირეოდენიც-კი რომ ამოვკრიბოთ და მით დავკმაყოფილდეთ, მაშინაც ჩვენის აზრით, იმოდენა ზარალი მოაქვს სეტყვას, მეტადრე საქართველოს მეურნეობისათვის, რომ შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ. ეს ამბავი, სეტყვისაგან დაზარალება ამიერ-კავკასიაში თითქმის მარტო საქართველოს უბედურება ყოფილა, როგორც გვიმტკიცებენ ზემოხსენებულნი ცნობანი. ოცის წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის 5 გუბერნიაში სეტყვას გაუნადგურებია თითქმის $4^{1}/_{3}$ მილიონის მანათის მოსავალი. ამ ზარალიდგან $^{3}/_{4}$-ზე მეტი ($75,8^{0}/_{0}$) შეჰხვედრია, მარტო ტფილისის გუბერნიას (აღმოსავლეთ საქართველოს); ქუთაისის გუბერნიაში, რაჭა ლეჩხუმს გარდა, სეტყვიდგან დაზარალება სრულიად არ არის ცნობილი; თვით რაჭა-ლეჩხუმშიაც-კი ამ ოცის წლის განმავლობაში სულ 2—3-ჯერ მოსულა სეტყვა. ამიერ-კავკასიის დანარჩენს სამს გუბერნიას საერთო ზარალიდგან მარტო $^{1}/_{4}$-ზედ ნაკლები ($24,2^{0}/_{0}$) ჰხვდება.

მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენს ქვეყანას ყოველ წლივ სეტყვა ართმევს 150,000 მანათის მოსავალს. ეს ოფიციალურ ცნობებს რომ დავუჯეროთ; ნამდვილი ზარალიკი, თუ ჩვენს სოფლის მეურნეთ დავუჯერებთ, ერთი ათად მეტია.

სხვა გუბერნიებში ზოგიერთ მაზრებს სეტყვა სრულიად არა ხვდება; ტფილისის გუბერნიაში-კი სეტყვისაგან ზარალი ცნობილია ყველა ცხრა მაზრაში. ყველაზე ძრიელ სეტყვა იცის თელავის მაზრაში, სადაც ოცის წლის განმავლობაში პოლიციის სიაში 44 შემთხვევაა აღნიშნული სეტყვის მოსვლისა; ტფილისის მაზრაში—29, სიღნაღისაში—28, დუშეთისაში 21. ამიერ-კავკასიის დანარჩენ მაზრათა შორის სეტყვა ხშირია უფრო შუშის მაზრაში, სადაც ოცის წლის განმავლობაში ყოფილა 15 შემთხვევა სეტყვის მოსვლისა; თხუთმეტ მაზრაში მარტო 1—5-ჯერა ყოფილა სეტყვა ოცის წლის განმავლობაში. სეტყვის მხრით საშიშ თთვედ მთელს კავკასიაში უფრო თიბათვეა ცნობილი: ოცის წლის განმავლობაში 173-ჯერ მოსულა სეტყვა თიბათვეში, მაისში 145-ჯერ, მკათათვეში 61-ჯერ, მარიამობისთვეს—38, აპრილსა და ენკენისთვეში 16—17-ჯერ.

უფრო საზარალო სეტყვა სცოდნია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ერთს სეტყვის მოსვლას, ორთა შუა რომ ვსთქვათ, მოაქვს 20.400 მან. ზარალი, განჯის გუბერნიაში—14.700, ერევნისაში—10,070, და ბაქოსაში—4.640 მან.

რომელი მცენარე უფრო ძრიელა ფუჭდება სეტყვისაგან, ამის შესახებაც არა გვარი ცნობა არ არის ლიტერატურაში, მაგრამ, რადგანაც უმეტეს ნაწილს სამეურნეო მცენარეთა მარტო 2—3 თთვის განმავლობაში აქვს შიში, რასაკვირველია, რომ ყველაზედ დიდს ზარალს აძლევს ვაზსა, რომელიც სამეურნეო მცენარეთა შორის უფრო დიდს შემოსავალს იძლევა თამბაქოსა და ხეხილს, რომელთაც შიში აქვთ მთელის ექვსის თთვის განმავლობაში. გარდა ამისა, თუ ვაზს ადრე მოხვდა სეტყვა, ნორჩი ყლორტები გასცვივა ხოლმე და სამერმისოდ რიგიან სამამულე რქასაც-კი ვეღარ შეარჩევს კაცი. ამასთანავე ყველაზე სასტიკი სეტყვა იცის იმ ადგილებში, სადაც მევენახობა ძრიელ არის გავრცელებული. ამ მიზეზების გამო, არ შევსცდებით, ვგონებ, რომ ვსთქვათ: ბევრად უფრო დიდი ზარალი მოაქვს სეტყვას ჩვენის ვენახების პატრონთათვის და სწორედ ამიტომ

---

# ფელეტონი

---

**შამილის ჯარის ჩამოსვლის დროს კახეთში 1854 წ., 4 ივლისს**

ქისტაურს

როდესაც მამა ჩემს გაეგო, რომ „ნაჩალნიკს“ მთავრობიდგან ქაღალდი მოსვლოდა, არ შეიძლება შამილმა თავისი ჯარი კახეთზედ არ გამოათარეშოსო და გაფთხილდითო, მაშინვე ჩემთან გამოვიდა და ქისტაურში თავისთან წამიყვანა, რადგან ჩემი მეუღლე ჩოლოქის ომში, „დრუჟინაში“, იყო წასული იმ ჟამად!..

ივლისის ოთხს, თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც დავინახეთ, რომ მეიდანზე გიორგი ჩოლაყაშვილმა ცხენი შემოაჭენა და მამაჩემს უძახოდა; მამაჩემი აივანზედ გაეგება და სიცილით შესძახა: ოჰ, ღმერთმა გიშველოს, რა კარგ დროს მოდიხარ, ლუარსაბ მაყაშვილმა დილას მთელი ხარ-ირემი ჩამოიტანა, აქვე მოეკლა, დავსხდეთ და კარგი ქეიფი გავსწიოთ.

— სჩანს ჯერ შენ შამილის ჩამოსვლა არ გაგიგიაო!..

— განა ჩამოვიდა კიდეც?!

— ოლონდაც, გაღმა მხარი აიკლო, გამოვიდა გამოღმა, დავით ჭავჭავასის სახლ-კარი დასწვა და ცოლშვილი ტყვედ წაასხა; მოსდევს ამ სოფლებს და აოხრებს, თელავიდგან სულ ჭენებით წამოველ გამოვასწრომეთქი!..

მამაჩემმა ხმა-შემაღლებით დაიძახა:—ვაი შენ დავით ერისთავს! იმ უსჯულოებს ეს რა უქნიათ!..

იმათ ლაპარაკზედ ყველანი აივანზედ გამოვცვივდით. გიორგიმ მამაჩემს უთხრა: მე ცოლ-შვილს უნდა მივეშველო და თქვენც აქ ნულარ გაჩერდებით, დაიხიზნეთ სადმეო, და გასწია ჭენებითა!.. ჩვენ ამ დროს თელავის მხარეს გავიხედეთ და დავინახეთ ცეცხლებისაგან ცა გაწითლებულიყო და შავ ნისლივით კორიანტელი ადიოდა. მაშინ ქალებმა ტირილი დავიწყეთ, მამაჩემი და ჩემი ძმა სოსიკო გვამშვიდებდნენ. მაგრამ მთელი სოფელი ერთმანეთს ეცა. ვინ წინ და ვინ უკან, მირბიან ბოხჩა იღლიაში ამოჩრილი მთისაკენ; მამაჩემმა გვითხრა მაშ ჩვენთვისაც ცხენებს შევაკმაზვინებ, თქვენც ბარგი ჩაალაგეთ, ურმებზედ დაუწყონო. რომ გავიდა, ნახა, ერთი მსახური აღარ არის, სულ გაქცეულან, დარბის ჩემი ძმა და ვეღარავის ჰპოულობს; ბოლოს ძლივს ორი მოჯამაგირე, იმერლები, ზვრიდამ გამოიყვანა და ცხენები შეაკმაზვინა; ურმები შეაბეს და წავედით მთისაკენ; ბადანში რომ მივედით, მშვენიერი ადგილი ვნახეთ, გარშემო სულ ტყე და შუაში ზურმუხტის ფერი ტრიალი მინდორი და ცივი წყარო! მთელი სოფლის ხალხი იქ მოგროვდა, ყველანი თავ-თავისათვის ფოთლების ქოხებს იკეთებდნენ, ჩვენთვისაც კარავი დადგეს და მოსამსახურებისათვის ქოხი და ფანჩატური; სოფელმა საქონელიც იქ მორეკა და გაიშალა იარმუკასავით.

მეორე დღეს მამაჩემმა უთხრა ჩემ ძმას:—ახლა-კი მე წავალ თელავში და გავიგებ, ლეკის ჯარი გაბრუნდეს, თუ რა მოხდაო.

— ჩემმა ძმამ უპასუხა, რასა ბრძანებთ, ემანდ გზაზედ წინ არ შეგხვდნენ, მოხუცებული კაცი ვეღარც-კი გამოასწრობ და აგიტეხენ რასმე.

— არა, არა, მე წავალ, ბატონო, და ყოველსავე მე გაცნობებთ!..

— შენ ყმაწვილი კაცი ხარ და საომრად გული გერჯის, მაგრამ კიდევ მე გაჯობებ, შვილო!.. ერთმანეთს უხირდებოდნენ, არა მე წავალ, არა მეო, მაგრამ მამაჩემმა არ დაიშალა და წავიდა. როდესაც სადილზედ დავსხედით, ჯერ პირველი საჭმელი არ გაგვეთავებინა, რომ ზემო მხარეს ტყისაკენ, თოფი თოფზედ გავარდა, და ხალხმა ხმა მისცა, რა ამბავიაო, რას ესვრითო? შეიქმნა ყვირილი: „ლეკებმა მთისაკენ მოგვიარესო“.

აირია ეს ხალხი, გაშლილ სუფრებს თავი დაანებეს, შეიქმნა ჟრიამული, ჩვენც წამოვცვივდით. ჩემმა ძმამ თოფს წამოავლო ხელი და ხალხს დაუძახა: «ნუ გეშინიანთ, თოფები მოიმარჯვეთო?..» დედაკაცები წივილ-კივილით მირბიან, ერთი იძახის „უი, შვილო, ვაიმე!.. მეორე: ვაიმე, გლახავ!.. მესამე: დამიდგეს თვალები, გიგო, გიგო! გენაცვალეთ!..“ თან იცემენ გულ-მკერდზედ და ლოყებს იკაწრიან!.. ქალები შიშით გავშრით, ვეღარც ტირილს ვახერხებთ და ვეღარც გაქცევას სადმე!.. ეს ღრიალი და არეულობაა, მაგრამ ლეკები არსადა სჩანან. ხალხმა ერთბაშად თოფები გაისროლა, ვითომ ლეკები უნდა დააფრთხონ, მაგრამ სად არიან ლეკები! ვის აფრთხობენ?!. თურმე მეძროხეებს ერთმანეთი მოუტყუებიათ და იმათ ღრიალზედ დიდრონ კაცებსაც თოფები დაუცლიათ. ეს ალიაქოთი-კი სწორედ ამან ასტეხა; სოფელში ვინც ყარაულებათ იყვნენ, იმათ კიდევ ეს თოფების ხმა რომ გაუგონიათ, ჰგონებიათ ბადანში ხალხს ლეკები დაეცნენო გულებ დახეთქილნი ამოცვივდნენ იქა!..

მეორე დღეს, მამა ჩემი თელავიდამ დაბრუნდა და გვიანბო, რომ ლეკის ჯარი თელავში აღარ შემოსულა, კურდღელაურიდანვე გაბრუნდაო, მაგრამ ისევ ფოხალსედ-კი დგანან და კიდევ აპირობენ დაცემასო. ჩვენ ვუთხარით: «ახლა საით წაგვიყვანთ, რა გვეშველებაო»?

— „ნაჩალნიკმა“ თავადიშვილობას გვითხრა, სახლობანი ჩამოიყვანეთ და ყველანი აქ შეიყარენით, რომ თუ კიდევ ჩამოვლენ ლეკები, გავუმაგრდეთო, „და იქ უნდა წაგიყვანოთ. ჩემი ძმა სოსიკოც რამდენისამე სოფლის უფროსად დაენიშნათ და სოფლების გასამაგრებლად წავიდა. სახლობა-კი მამაჩემმა თელავში ჩაგვიყვანა, ყულიჯანას სახლები ექირავნა და იქ დაგვაბინავა.

მთელის მაზრის თავად-აზნაურობა თელავში იყო. იმათაც მოქალაქეების სახლები ჰქონდათ ნაქირავები, დღე იქ იყვნენ და ღამე გალავანში.

ბინდ-ბუნდია. აივანზედა ვსხედ-

მეტად სასურველია, რომ ჩვენის ვენახის პატრონებმა გაავრცელონ ჩვენში, რაც შეიძლება ჩქარა და დაუყოვნებლად, ფრიად სასარგებლო ჩვეულება ვენახების დაზღვევისა სეტყვისაგან.

არ. ფირალოვი

# ახალი ამბავი

*** რადგანაც სამო.სამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ამ ჟამად ტფილისიდგან სხვა-და-სხვა ადგილს გაემგზავრა სასამართლოების დასათვალიერებლად და ზოგიერთ საქმეების გასარჩევად, მის თანამდებობას დროებით ასრულებს სამოსამართლო პალატის 1 დეპარტამენტის თავმჯდომარე თ. ნ. ჭავჭავაძე.

*** პეტერბურგიდგან ტფილისს დაბრუნდა ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე თ. ა. ბიკოვი.

*** სააქციონერო ნავთის მწარმოებელ ამხანაგობას ძმათა მიჰზოევთა და კამპ. თანხა ჰქონდა 2,140,000 მან. წმინდა მოგება ჰქონდა 1892 წელს 29,565 მან. 56 კაპ. აქედგან ყველა აქციის პატრონს შეხვდება 100 მანათზე მხოლოდ $3^0/_0$, ე. ი. 3 მანეთი. ამხანაგობის საქმე შარშან ვერ წასულა რიგიანად, რადგანაც ნავთის წარმოება ბოლო დროს ცოტად დაეცა და ამის გარდა შარშანდელმა ხოლერამაც აზარალა. როგორც ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული, ამხანაგობა აპირობს აღებმიცემობის გასაძლიერებლად 800,000 მანეთის ახალ აქციების გამოცემას.

*** წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში, როგორც შევიტყვეთ, არავითარი მოარული აღარ არის.

*** 5 აპრილს ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში სომხურ დრამატიულ დასმა წარმოადგინა „უბედური სიყვარული“, დრამა 5 მოქმედებად, ფრანგულიდგან ნათარგმნი. მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნი ტერ-დავიდოვი, ქ-ნი ზაბელა და სხვანი. თითქმის მთელი სომხების ინტელიგენცია დაესწრო წარმოდგენას. ეს წარმოდგენა სომხურ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ იყო გამართული.

*** 4 აპრილს პუშკინის ბაღში ექიმმა ნ. ხუდადოვმა კვლავ წაიკითხა ლექცია ხოლერის შესახებ. ხალხი ბლომად დაესწრო. შემდეგ ბ-ნი ხუდადოვი აპირობს ლექციის წაკითხვას ქართულად.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ამ ზაფხულს ვაჭრებმა ყოველი გაყიდული ხორაგეული ახალ და სუფთა ქაღალდში უნდა გაახვიონ, რადგანაც ნახმარ ქაღალდით ადვილად შეიძლება ავადმყოფობა გავრცელდეს.

*** გუშინდელ ამბავს იმის შესახებ, რომ ვიღაც უცნობმა ასასი დასჭრა, ორიოდე სიტყვა შეგვიძლიან დავუმატოთ. დაპატიმრებული ავაზაკი ლეკი-კი არა ყოფილა, არამედ სპარსეთის ქვეშევრდომი ნიკოლოს პეტროსიანი, როგორც თვითონა სთქვა თავისი ვინაობა, თუმცა-კი ნამდვილად ჯერ არავინ იცის. პოლიციის მოხელემ ბუდარამ რომ რევოლვერი ესროლა, ავაზაკს ტყვია ზურგში მოხვედრია და ამის გამო წაქცეულა, თორემ იქნება კიდევ ბევრი საძაგლობა ჩაედინა. ავაზაკს სამი ამხანაგი ჰყოლია და სადღაც მიმალულან, ისე რომ ჯერ ვერ უპოვნიათ. საქმის გამოძიება ტფილისის ოლქის პროკურორმა მიანდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს გ. ვ. დანილოვს.

*** შარშან შემოდგომას ყარაიაზის მიდამოში დიდ-ძალი თესლი დასდო კალიამ და საფიქრებელია, რომ ამ ზაფხულს გამოიჩეკება. გამოკვლევამ ამოაჩინა, რომ ყარაიაზის მამულში 28,000 დღიურია კალიის თესლით მოდებული. თუ რომ რიგიანი ღონისძიება არ იქმნა ხმარებული, ცუდი დღე დაადგება ჩვენ ხალხს.

ტფილისის მაზრის უფროსს თ. ჯანდიერს ეხლავე განკარგულება მოუხდენია, რომ სოფლის ხალხი დაემზადოს კალიასთან საბრძოლველად და ბრძანებისათანავე შეგროვდეს ერთს ალაგს, რომ თესლით მოდებული მამული გაინაწილონ და ჯერ თესლის მოგროვებას შეუდგნენ, მერე გამოჩეკილ კალიის ხოცვას, ვიდრე ფრთა გამოესხმის.

ამასთანავე თ. ჯანდიერმა სთხოვა ბ-ნ გუბერნატორს, მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს ხალხს ფულით საბრძოლველ იარაღის და მუშა ხალხისათვის სარჩოს დასამზადებლად.

*** თ. გ. ორბელიანისა და თ. ვ. მაჩაბლის ერთმანერთისადმი საჩივარი სამოსამართლო პალატამ სრულიად უარ-ჰყო და სასამართლო ხარჯი-კი ესე გაანაწილა: თ. ორბელიანმა უნდა გადიხადოს $^5/_7$, ხოლო მაჩაბელმა—$^2/_7$.

*** ბაქოში გავრცელებულა ყალბი სამ-მანათიანი, რომელიც ვერ არის ხელოვნურად გაკეთებული და ამიტომ დაბალი ხალხი უფრო ტყუვდება.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზა აცხადებს, რომ 6 აპრილიდგან ტფილისსა და განჯას შუა ახალი ხალხის მატარებელი ივლის:

ტფილისიდგან გადის საღამოს 9 საათსა და 20 წ. განჯას მიდის დილის 10 საათსა და 10 წ. განჯიდგან გამოდის საღამოს 7 საათსა და 35 წ. ტფილისს მოდის დილის 7 საათსა და 30 წ.

*** მოგეხსენებათ, რომ აქამდე აქაური აგენტი მოსკოვის სეტყვისაგან დაზღვევის საზოგადოებისა იღებდა მხოლოდ სურვილის გამოცხადების ქაღალდს იმ მემამულეთა და ვენახის პატრონთაგან, რომელნიც მოინდომებდნენ თავიანთ ვენახის დაზღვევას. ახლა აგენტს მოსვლია ნება საზოგადოებისან, დაიწყოს მიღება საწევრო ფულისაცა. ეს ამბავი საყურადღებოა, რადგან ამას შემდეგ, იმედია, საზოგადოება მალე ვენახების დაზღვევასაც შეუდგება.

*** 29 მარტს გომბორზედ მამულოვის დილიჟანი გადაბრუნდა. დაშავდა ერთი პატარა ყმაწვილი და თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის თანაშემწის მიხაილოვის მეუღლე. დაშავებულებს დროზედ მიეშველა სამხედრო ექიმი ოსტროვსკი.

*** ქუთაისი: დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ვასასყიდად აქაურ გამომცემელ ამხანაგობის მიერ დაბეჭდილი ახალი წიგნი: „სვანური ზღაპრები“, შეკრებილი თავისუფალ სვანის მიერ.

*** თელავი: ორშაბათს, 20 მარტს, აქ ერთი უბედურება მოხდა! რიყის მხარეს, ერთს დუქანში ჯარის-კაცნი ქეიფობდნენ. დუქანში იყვნენ სხვებიც. საღამოხანს, როცა ძრიელ შექეიფიანდნენ, ერთ უნტერ-ოფიცერსა და ერთს კაცს, არუთინოვს; ჩხუბი მოუვიდათ. უნტერ-ოფიცერმა დანით სასიკვდილოდ დასჭრა ა. არუთინოვი და გაიქცა. დამნაშავე ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** უჯარა: 4 აპრილს დილის 11 საათზე სახალხო მატარებლის ქვეშ ჩავარდა რასულ-ორუგ-ოღლი 110 წლისა და მატარებელმა გასრისა.

სამტრედია: 5 აპრილს დილის 4 ს. 20 წ. სახალხო მატარებლის № 4 ქვეშ ჩავარდა რკინის გზის დარაჯი ლუკა ძიძიგაური, რომელსაც თვლებმა მარჯვენა მკლავი მოსწყვიტა. დაშავებული ბათუმის სამკურნალოში გაგზავნეს.

*** გაზ. „არძაგანკი“ სწერს, რომ ამას წინად, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, როცა წინანდლის საუფლისწულო მამულში სთხრიდნენ საძირკველს თ. დავით ალექსანდრეს ძის ჭავჭავაძის ძველის სახლისას, აღმოჩნდა, რომ ამ სახლს ცხადად ეტყობოდა კვალი შამილის დროს ცეცხლის წაკიდებისა და გაძარცვისა. საძირკველ ქვეშ იპოვნეს მრავალი ქვისა ანუ ღვთის ფიცარი, რომელიც მოფენილია ქართულის ზედ-წარწერით. საინტერესოა წაკითხვა ამ ზედ-წარწერებისა, რომელთაც, შესაძლოა, მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის. მიგვიქცევია ამ გარემოებისათვის ყურადღება ახლო-მახლო მყოფ მღვდელთა და სოფლის მასწავლებელთაო, ამბობს ბოლო გაზეთი.

*** რავდენად მტკიცედ ხელმძღვანელობენ აქაური აფთიაქრები მთავრობისაგან დამტკიცებულ ნიხრით, შემდეგი ამბავი გვიჩვენებს: ამ დღეებში ექიმ მალიუჟენკოს რეცეპტით, წამალი მოუთხოვნიათ ზამლინსკის აფთიაქში, რომელიც მიხელის ქუჩაზეა; აფთიაქარს დაუფასებია 65 კ. მერე ესევე რეცეპტი სხვა აფთიაქში წაუღიათ; იქ წამალში მხოლოდ 10 კაპ. აუღიათ (Тифл. Лист.)

*** სომეხთა განათლებული ახალგაზდობა ამ ბოლოს დროს ძალიან ეტანება სასულიერო ასპარეზზე სამსახურს, ზოგი მღვდლად მიდის და ზოგიც ბერად. ამ მოკლე ხანში რავდენიმე განათლებული კაცი აღიკვეცება ბერად ეჩმიაწინის მონასტერში. ამათ შორის ორს, ბ-ნ არშაკ ტერ-მიქელიანცს და ფარსადან ტერ-მოვსისიანცს, ეჩმიაწინის აკადემია დაუსრულებია. ამასთანავე ტერ-მელიქიანცს უნივერსიტეტიც გაუთავებია გერმანიაში და ღვთის-მეტყველების დოქტორის ხარისხი მიუღია; მეორეს, ტერ-მოვსისიანცს, დერპტის უნივერსიტეტში დაუმთავრებია სწავლა (Нов. Обор.).

*** 4 აპრილს რკინის-გზის სადგურს ახლო პოლიციელებმა იპოვნეს ქვა-ფენილ-

---

ვართ. ვნახოთ, ერთი გლეხის დედაკაცი ამოვიდა კიბეზედ, ლურჯი დაგლეჯილი ჩითის კაბა აცვია და თავზედ მალი აქვს მობორბლილი. ჩვენ ერთმანერთს ვუყურებთ და ვეკითხებით, ვინ არის ეგა?!. იქიდამ ის გამოგველაპარაკა: რასაკვირველია ამ ყოფაში ვერ მიცნობთო. მამაჩემი წამოდგა და შესძახა: ოჰ! ბაბალე, შენა?!. ჩვენ მივატანეთ: რასა ბრძანებთ, ვინ ბაბალე?!.

— რაზედ დაიბნიენით, ჩემი მამიდაშვილია, სავარსამიძის ცოლი! ყველანი განცვიფრებულნი შევყურებთ და ვეუბნებით: თქვენა ბრძანდებით? რა ჩაგიცვამთ ეგა?!.

თქვენ ისა მკითხეთ, სული როგორ შეგრჩა თქო!..

— დაბრძანდით, ეხლა მაინც გული დაიმშვიდეთ!. დაჯდა, ჩაი მივართვით და შემდგომ მამაჩემმა ჰკითხა:

— აბა ახლა-კი მიამბე იმ წუნკალა ლეკებს როგორ გადარჩიო. ასე დაიწყო:

— მე ბატონო კონდოლში ჩემ სახლში გახლდით, დავინახე ორ-ღობეში, „ნაჩალნიკმა“ და მრავალმა ხალხმა ქვემოთ ჩაიარა, ბიჭს დავუძახე და ვუთხარი: აბა ნახე, ეგენი ვინ არიან-მეთქი. ბიჭმა გაირბინა და რომ შემობრუნდა, ეს ამბავი შემოიტანა: შილდაში ჯარი ჩამოსულა და „ნაჩალნიკი“ თვალავლებით მისაშველებლად მიდისო!.. ორი საათი აღარ გასულა, უკანვე მოაჭენებენ თქარა-თქურით და მთელი კონდოლის ხალხი მორბიან და იძახიან: „ვაი ცოლო და შვილო დაღუპულო! ლეკის ჯარი აქეთაც გამოვიდაო!.. გამისკდა გული, წამოვხტი, ვნახე, ბიჭიც გამქცევია, დავრჩი საბედა გოგოს სინაბარა; რაღა ვქნა, ბარგს მე რას მოვერევი და გოგოს-კი თავის პატარა ბიჭი ჰყავს საზიდი, გავაღე შკაფი, რასაც ხატებს მოვერეოდი ჩავაწყე ჩოხაში, ავიკიდე და გავსწიეთ მთისაკენ; ამ დროს უკანიდამ შემოგვესმა ცხენების ფეხის ხმა. შევძვერით ბარდებში და იქიდამ გამოვიყურებით. ვნახეთ, ლეკის ჯარი მოდის. გულ გახეთქილებმა ხმა გავკმინდეთ და ვფიქრობთ, ეს არის, გვტაცეს ხელი და გამოგვათრიესო; მაგრამ აებათ თვალები და ვერ დაგვინახეს. ჩვენ უფრო და უფრო შევძვერით ბარდებში; იმ ძეძვებისაგან ლეჩაქი და კაბა სულ შემომეფხრიწა. ამ ყოფაში დაღამდა. ვამბობ: ან მგელი შეგვჭამს და ან ტურა. ძილი რას ჰქვიან, ვის მოუვა თვალზედ ლული... რომ გათენდა, ისევ გზისაკენ გამოვძვერით, ეგების ქრისტიანი ვნახოთ ვინმე. სად იყო და სად არა, ერთ კაცსა ურემზედ დედაკაცები დაუსხავს და მთისაკენ მიჰყავს, წინ გადავდექ და შევეხვეწე, ჩვენც დაგვსხი-მეთქი, შეგვიბრალა და წაგვასხა კიხისხევს მთაში; მშიერ-მწყურვალმა ხალხში პურის ლუკმა მოვითხოვეთ და ორის დღის უნაწილოები შევნაყრდით და სული მოვიბრუნეთ. სამი ღამე იქ გავათენეთ და მერმე ჩემ ნათლიდედას კაბა და შალი ვთხოვე და წამოველ. ჩემ მოძღვარ როსტომაშვილ მღვდელთან ვდგევარ, გუშინ კონდოლიდამ ბიჭმა ეს ამბავი მომიტანა: ლეკებს თქვენი ბარგი სულ აეკლოთ და სახლიც დაეწოთო!.. წარმოიდგინეთ ახლა, რა მდგომარეობაში ვიქნები!..

ეს ამბავი რომ დაასრულა, მამაჩემმა უთხრა: ამას იქით ჩვენთანა ბრძანდებოდე, ტანისამოსსაც ხვალვე გიყიდი და რაკი გადარჩი, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროვო!..

პატარახანს უკან ჩვენი სახლის პატრონი ყულიჯანა ამოვიდა და მამაჩემს მოახსენა: ახლა-კი კარგს ინებებთ, რომ ამაღამ გალავანში შებრძანდეთ, თორემ ნაჩალნიკს კიდევ გაღმიდამ კაცი მოუვიდა, ფოხალზედ ლეკები ისევ მოგროვდნენ და კიდევ დაცემას აპირობენო!.. მამა ჩემმა უპასუხა: —ეს შენი სახლი ისე ახლო არის გალავანზედ, თუ რამ მოხდება მაშინაც შევასწრობთ და ტყუილად ეხლა რად შევიწროვდეთო!..

— როდესაც ვახშამი ვსჭამეთ და დავიძინეთ, შუაღამისას მოგვესმა საშინელი ძაღლის ყეფა და რახა-რუხი, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდით. ვნახოთ ნამძინარევი ბიჭი წამოხტა ბალკონიდამ, ფანჯრებს არახუნებს და იძახის: ბატონო! ბატონო! ლეკები, ლეკები!.. ამ ხმაზედ მამაჩემი წამოდგა, საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა და გავიდა, ჩვენც დიდი და პატარა წამოვცვივდით, გარედ ვიყურებით— ცეცხლები არსაითა სჩანს. ქვევიდგან-კა ძაღლის-ყეფა და ბრახა-ბრუხი ისმის. ამ ხმის გაგონებაზედ ვყვირით, ვტირით, ასტყდა საშინელი ჟღავილ-ჟღუვი, სავარსამიძის ცოლი კანკალით ამბობს: გენაცვალეთ იმ უსჯულოებს თავი ხელიდგან ძლივს გავაგდებინე და აქ კიდევ მაგათი ანაწერი არ გავხდე!.. მამაჩემმა ხანჯალი გაიძრო, ბიჭს ხმალი მისცა და უთხრა: სხვა მხარეს არაფერი ამბავი არის, და აბა ასასებს გადასძახე, მოვიდნენ, ჰნახონ, რა არის!.. ბიჭი შიშით კიბეზედ არ ჩადის და ამბობს: თავი რომ გამაგდებინოთ, მარტო ვერ ჩავალ, მომკვლენ, ბატონო!.. მაშინ თითონ მამაჩემი ჩავიდა და ეზოს გარედ გადასძახა ასასებს. ისინი მოცვივდნენ შეიარაღებულნი, საიდამაც ყეფა და რახუნი ისმის, მივიდნენ, ყური მიუგდეს, რახუნი ისმის, დაიძახეს: შიგ არიან, ბატონო!.. შიგ!.. მამაჩემი უბრძანებს: მაშ ქურდები იქნებიან!..

— რა ბრძანებაა, მტერი არის, თქვენმა მზემ!.. ერთი ასასი ამბობს: მე კარებს გავაღებ და თქვენ თოფი მოიმარჯვეთ!.. მეორე ეუბნება, კარზედ ფეხს ვინც გამოსდგამს, ხანჯლით თავს გავუჩეხ!.. მამაჩემი აბრთხილებს: ქართველი არ იყოს, ვაჟო, ცოდოში არ ჩამაყენოთ“!.. გააღეს კარი, ვნახოთ, ერთი ქოფაკი-კი გამოვარდა, თავზედ ქვაბ ჩამოცმული. თურმე ნუ ბრძანებთ, ბიჭი რომ სამზარეულოდამ გამოსულა, იმ დროს იქ ვიღასიც ძაღლი შესულა და ბიჭს შემდგომ კარები გადურაზავს. ძაღლი, რა-კი შინ მომწყვდეულა, ქონიან ქვაბში მოსალოკავად ცხვირი ჩაუყვია, და თავი შიგ გასჭედია, დარბის, ჰყეფს და არახუნებს!..

ჩვენ-კი მართლა ლეკები გვეგონა და შიშით აღარა გვგვეჭებოდა-რა!..

ბარბარე ჯორჯაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე დავარდნილი და ძლივსღა ცოცხალი ტიტულიარნი სოვეტნიკი ნიკოლოზ მაკარის ძე სიმონოვი. სიმონოვი მაშინვე ეტლში ჩასვეს და წამოიყვანეს, მაგრამ გზაშივე გარდაიცვალა.

## წერილი ქუთაისიდგან

„ივერიასა“ და სხვა გაზეთებშიაც უკვე მოხსენებული იყო, რომ გამგეობის აზრის თანახმად ქალაქის საბჭომ დაადგინა თავისივე ხარჯით საზოგადო ბიბლიოთეკა გამართოს და რომ ამ საგანს წლიურად ათას ორას მანეთამდე უნდა მოახმაროს. რა თქმა უნდა, ამ გვარს განზრახვას ჩვენის თვით-მმართველობისას ყველა მოკეთე ჩვენის წარმატებისა მით უფრო დიდის თანაგრძნობით და სიხარულით მიეგებებოდა, რომ ქუთაისში არც ერთი რიგიანი ბიბლიოთეკა არ მოიპოვება. ეს რამდენიმე წელიწადია ერთი კერძო ბიბლიოთეკა არსებობს, მაგრამ ესეც ძლივ-ძლივობით იბრუნებს სულს. ეს პირველი მაგალითი არ არის იმისა, რომ კერძო ბიბლიოთეკის არსებობა ქუთაისში მეტადა სჭირს. პირველი ბიბლიოთეკა, მართლადაც დროის შესაფერად მოწყობილი, ამ თვრამეტიოდე წლის წინად თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძემ გაჰმართა, მაგრამ რამდენსამე წელს შემდეგ იძულებული შეიქმნა სხვისათვის გადაეცა; ხოლო ვერც ახალი პატრონი გაუძლვა საქმეს და ბიბლიოთეკას თავი დაანება. იმის მიზეზი, რომ ქუთაისში ამდენის ხნის განმავლობაში ვერც ერთმა კერძო ბიბლიოთეკამ ძალუმად ფეხი ვერ მოიკიდა, სხვათა შორის, ალბად ისიც უნდა იყოს, რომ ქუთათურები, ჩვენდა სამწუხაროდ, გონების წვრთნასა, ვარჯიშობას და გართობას, ცოტათი არ იყოს, უგულოდ ეკიდებიან.

აქედგან აშკარა უნდა იყოს, რომ კერძო შრომითა და საშუალებით ბიბლიოთეკის წარმოება და გაძღოლა ჩვენში მეტად საძნელო საქმე ყოფილა, და ეგ ფრიად სასიკეთო საქმე თვით ქალაქს რომ არ ეკისრნა, კარგად მოწყობილს ბიბლიოთეკას ქუთაისი დიდხანს ვერ ეღირსებოდა. მართალია, ის ფული, რომელიც ქალაქმა თავის ბიბლიოთეკას აღუთქვა წლიურად, საკმაო არ არის მეტადრე პირველს ხანში, ხოლო იმედია, რომ, რაკი საქმე გაიჩალხება, ქალაქი მეტს ხარჯს გაიღებს და, თუ დღეს ამ მცირე შესაწევარს სჯერდება, მიზეზი ის არის, რომ შარშან ხოლერასთან საბრძოლველად დიდძალი მოულოდნელი ხარჯი გასწია და წელსაც არ არის დაიმედებული, რომ ხოლერა ჩვენზე წყალობას მოიღებს და გზას აგვიქცევს. ეხლა-კი უნდა ვისურვოთ, რომ გამგეობა ამ საშვილიშვილო საქმეს დროზედ შეუდგეს და ბიბლიოთეკა ისე მოაწყოს, რომ საზოგადოების გულ-გრილობას არავითარი ხელჩასაჭიდებელი საბუთი არ მისცეს, ესე იგი, ისეთი საბუთი, რომელმაც რამდენსამე კაცს გული აუცრუა და საქმეზედ ხელი აალებინა. აქ ჩვენ იმასა ვგულისხმობთ, რომ იმ სამიოდე ბიბლიოთეკაში, რომელიც კერძო კაცების საშუალებით იყო გამართული, ვერც ქართულის მწერლობის ნაწარმოებთ იპოვნიდით და ვერც საკუთრივ კავკასიის შესახებს ნაწერებს რუსულს ენაზე. ამ სახით რუსულის არ მცოდნენიც მოკლებულნი იყვნენ საკითხავს და ის ნაწილიც ჩვენის საზოგადოებისა, რომელიც მოწადინებულია ადგილობრივს ვითარებას ადევნოს თვალ-ყური. ამიტომ უნდა ვისურვოთ, რომ ქალაქის ბიბლიოთეკის გამგეთ განსაკუთრებული ყურადღება ათხოვონ არა მარტო რუსულს საყოველთაო მწერლობას, არამედ კავკასიის შესახებს ნაწერებს რუსულს ენაზე და ქართულს მწერლობასაც.

იმ ხარჯს გარდა, რომელიც ქალაქმა იკისრა, ვგონებთ, მეტი არ იქნება, ქალაქის გამგეობამ, როცა საქმეს შეუდგება, კერძო კაცებსაც სთხოვოს დახმარება. იმედია, ქუთაისში ბევრი მოიპოვება, რომლებიც ისეთ სასიკეთო საქმისათვის, როგორც ბიბლიოთეკის გამართვაა, ქალაქს თავის წვლილს არ დაამადლებენ და შეძლებისა-და გვარად შემწეობას აღმოუჩენენ თუნდაც წიგნების შეწირვით. ეს იმედი რომ ტყუილი არ არის, ამის საბუთი ამ დღეებში თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძემ დაგვანახვა, რომელმაც მომავალის ბიბლიოთეკისათვის ათას ხუთასიოდე ცალი წიგნი უსასყიდლოდ დაუთმო და სამუდამოდ შესწირა ქალაქს. ეს ისეთი შესაწირავია, რომ მკვიდრს საძირკველს დაუდებს ბიბლიოთეკას; ამ ათას ხუთას წიგნში, როგორც ნამდვილად ვიცით, ბევრი იშვიათი და თვალ-საჩინო წიგნი იპოვება—როგორც რუსულის მწერლობისა, ისე ფრანგულისა. რასაკვირველია, თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძე ამ შესაწირავისთვის დიდის მადლობის ღირსია და, სრული იმედია, ამ ამბავს ქალაქი არ დაივიწყებს.

გუშინ, 2 ამ თთვისას, სხდომა ჰქონდა სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას. ამ სხდომაზე უნდა აერჩიათ მზრუნველი და მმართველი ახალის სამეურნეო სკოლისა. არჩევანი სხვა დროისათვის იქმნა გადადებული, სახელდობრ, იმ დრომდე, სანამ ხელ-ახლავ განხილული არ იქნება წესდება სკოლისა და სანამ განყოფილება საჭირო ცნობებს არ შეჰკრებს იმათ შესახებ, ვინც მმართველისა თუ მასწავლებლის თანამდებობას ეძებს. წაკითხულ იქმნა სია იმ კაცთა, რომელთაც თხოვნით მიუმართავთ. მმართველისა თუ მასწავლებლის ადგილს თხოულობენ ბ-ნნი ა. არდასენოვი, ე. ნაკაშიძე, მორბედაძე, კარპოვი, ზოლოტარევი და გერმანი.

ა. ნა—ლი

## უცხოეთი

**გერმანია.** ამ კვირია მიუნხენში დანიშნულია კრება გერმანიის ისტორიკოსთა. კრებას საგნადა აქვს გამოარკვიოს, როგორ უნდა ასწავლონ ისტორია საშუალო სასწავლებლებში. კრება განიხილავს სხვა-და-სხვა ისტორიკოსების აზრს ამ საქმის შესახებ და ეცდება გამოარკვიოს, რამდენად საჭიროა ისტორიის ცოდნა განათლებულ კაცისთვის, რომელსაც საზოგადოების ასპარეზზედ შრომა მოელის. გიმნაზიის დირექტორი მარტენსი სწერს: ისტორიის სწავლას მხოლოდ მაშინ ექმნება მნიშვნელობა და მხოლოდ მაშინ დაეხმარება ყმაწვილს კაცს საზოგადოების ასპარეზზედ შრომაში, თუ ისტორიებს ისე ასწავლიან, რომ პატარაობითვე გულში ჩაუნერგონ წმიდა მოვალეობა წინაშე მამულისა. ისტორიის მასწავლებელი უნდა ეცადოს ამ საგნის სწავლების დროს, ახალთაობას ხასიათი განუმტკიცოს და აუხსნას აწინდელ პოლიტიკურ დასების სხვა-და-სხვა მიმართულებაო. პროფესორ დოვეს აზრით-კი ყველა ეს სრულიად საჭირო არ არის. პირ-იქით ასეთი სწავლება ისტორიისა, ამბობს დოვე, არც სასარგებლო იქმნება ახალთაობისთვის, რადგანაც, თუ მასწავლებელი ისტორიის სწავლების დროს სხვა აზრებით იხელმძღვანელებს, ადვილად შესაძლებელია, რომ ისტორიულის ამბების ნამდვილი აზრი დაამახინჯოს. საჭიროა მასწავლებელმა მხოლოდ ისტორია ასწავლოს მოსწავლეთ და მერე თითონ ისინი შეიგნებენ ისტორიის სხვა-და-სხვა ამბების აზრსა და შემდეგ აწინდელ ცხოვრებასაც დააკვირდებიან და თითონვე ამოირჩევენ, რომელ პოლიტიკურს დასს უნდა მისდიონო. პროფესორი კაუფმანი კიდევ ამტკიცებს, რომ საჭიროა მომეტებული ყურადღება მიექცეს ძველ დროთა ისტორიასო; დოვესა და მარტენსის აზრით-კი, საჭიროა ახალ დროის ისტორიას უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ, ვიდრე აქამდე იყო. ხოლო მარტენს ჰსურს ახლანდელ დროის ისტორიაც ასწავლონ მოწაფეთ და ამასთანავე ერთად გააცნონ აწინდელი კულტურა, აწინდელი ცხოვრება და სხვა-და-სხვა საპოლიტიკო დასების მიმართულება. მაგრამ გერმანიის ყველა პედაგოგნი ამ აზრის წინააღმდეგნი არიან. ამ აზრისავე წინააღმდეგია, სხვათა შორის, პროფესორი კაუფმანიც და ამბობს, რომ სასწავლებელში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მიმართულებასა და სარწმუნოებაზედ ბაასსა და კამათობას. სასურველიაო, ამბობს კაუფმანი, რომ ახალთაობას სასწავლებელშივე გააცნონ აწინდელ სახელმწიფოთა წყობილება, სახელმწიფო დაწესებულებანი, კანონ-მდებლობა და სხვა, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ მასწავლებელი არ ეუბნებოდეს მოწაფეთ, აი ეს საპოლიტიკო დასი, ან ეს წესწყობილება, ან ეს დაწესებულება კარგია და ეს-და-ეს-კი ცუდიაო.

მოწაფე ყველა ამას თითონვე უნდა მიხვდეს და თითონვე უნდა შეიგნოს.

**ავსტრი-ვენგრია.** ამ კვირია ვენაში გარდაიცვალა 1848 წლის მოღვაწე ადოლფ ფიშგოფი. ფიშგოფის ცხოვრება და მოღვაწეობა საყურადღებოა. დაიბადა 1816 წელს. 1848 წლამდე ფიშგოფს არავინ იცნობდა. როცა მეტერნიხის წინააღმდეგ ხალხმა ხმა აამაღლა, ფიშგოფი ხალხს მიემხრო და სრულიად მოულოდნელად დაიწყო მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზედ. აი როგორ მოხდა ეს. 1848 წელს 13 მარტს ხალხი შეგროვდა Ständehof ის სასახლესთან, მაგრამ მთავრობისა ისე ეშინოდა ყველას, რომ ვერავინ ვერ გაბედა მთავრობის წინააღმდეგ ლაპარაკი; სწორედ ამ დროს გამოჩნდა ახალგაზდა კაცი და ხალხს მიჰმართა. პირველი მაგალითი იყო ვენაში, რომ კაცს საჯაროდ გაებედნა ლაპარაკი მთავრობის წინააღმდეგ. ფიშგოფმა ილაპარაკა მთავრობის შეცდომათა შესახებ, ხალხის მოთხოვნილებაზედ, ამბობდა, საჭიროა ხალხს სრული თავისუფლება მიენიჭოს სარწმუნოებისა და აგრეთვე უფლება მიეცეს კანონმდებლობის საქმეშიო. ხალხი აღტაცებული იყო ფიშგოფის ლაპარაკით. ფიშგოფს გზა მისცეს და ის უშიშრად შევიდა წოდებათა წარმომადგენელთ დარბაზში და იქ გამოაცხადა ხალხისა და უნივერსიტეტის თხოვნა. ვენის მცხოვრებთ შემდეგ ფიშგოფი თავის დეპუტატად ამოირჩიეს რეიხსრატში.

ფიშგოფი თითონ ამბობდა ხოლმე, არაოდეს არა მქონია სურვილი საპოლიტიკო ასპარეზზედ მეშრომნა და მხოლოდ გარემოებამ მაიძულაო. „როცა ვნახე, რომ იმოდენა ხალხში ვერავინ ვერა ჰბედავდა წარმოეთქვა ის, რასაც ყველა ჰფიქრობდა, ვიფიქრე სირცხვილი არ არის, რომ ხმა ვერავის ამოგვიღია? მაგრამ იმ წამსვე გულმა მითხრა, მაშ შენც თითონ უნდა გრცხვენოდეს, რადგანაც შენც ვერა ჰბედავ ხმის ამოღებას, მაშ შენც ისეთივე მხდალი ყოფილხარ, როგორც სხვები. საშინლად შემრცხვა, თავს ძალა დავატანე და დავიყვირე: „ბატონებო!“ წარმოვსთქვი თუ არა პირველი სიტყვა, ხალხმა მომიტაცა, მხრებზედ შემისვეს და შემდეგ მეც ამ თანაგრძნობით აღტაცებულმა წარმოვსთქვი ყველა ის, რაც იმ დროს ყველას გონებასა და გულს უღელვებდა“.

რეიხსრატის დათხოვნის შემდეგ, რომლის წევრადაც ფიშგოფიც ერია, ურჩიეს საზღვარ გარედ წასულიყო, რომ მთავრობის მიერ დევნა თავიდგან აეცილებინა. ფიშგოფმა მეგობრებს ასე უპასუხა: „აქ რომ დავრჩე, იქნება სამართალმა გამამტყუნოს და რომ გავიქცე, საზოგადოება უეჭველად გამამტყუნებსო. ამიტომ აქვე ვრჩები, რაც უნდა მომივიდესო“. ფიშგოფი მართლაც 9 თთვით ციხეში დაამპატიმრეს, მაგრამ სასამართლომ გაამართლა.

მას შემდეგ ფიშგოფი ისევ თავის ხელობას—მკურნალობას დაუბრუნდა და 10 წლის განმავლობაში პოლიტიკურ საქმეებში აღარ გარეულა. მხოლოდ 60 წლებში ფიშგოფი ისევ ერევა პოლიტიკურ საქმეებში და ამ საქმეს სიკვდილამდე თავს არ ანებებს.

პარიჟის გაზეთები თანაგრძნობით იხსენიებენ ამ პატიოსანს მოღვაწეს.

## წვრილი ამბავი

საზოგადოდ ყველგან და კერძოდ ჩვენშიაც გავრცელებულია ის აზრი, რომ ყურძნის შემოსვლის დროს ძლიერ სასარგებლოა ვაზს ფოთოლი დააგლიჯონ. დღესაც ყურძენი რომ შემოსვლას იწყებს ჩვენი მევენახეები შემოაცლიან ფოთლებს და ცხარე მზეს მიუფიცხებენ ხოლმე მტევანს. მაგრამ, როგორც ეხლა ზოგიერთი მეურნეები ამტკიცებენ, ვაზის ფოთლების გაცლა ყურძნის შემოსვლის დროს სასარგებლო კი არა, მავნებელი ყოფილა. აი რას ამტკიცებს ერთი ცნობილი მეურნე, გვარად მიუნცი: ვიდრე რთველი გაიმართებოდა, ორის კვირის წინად, ნახევარ ვენახში ვაზებს სცდელად ფოთლები დავაგლიჯე, ხოლო მეორე ნახევარი ვენახისა ისე დავტოვე. მერე შევადარე იმ ყურძნის წვენი, რომლის ვაზებსაც ფურცლები არა ჰქონდა დაგლეჯილი, და უფრო უკეთესი აღმოჩნდა. თვით ყურძენიც იმ ვაზისა უფრო ტკბილი აღმოჩნდა, რომელსაც ფოთოლი არ დააგლიჯეო.

ცხადიაო, ამბობს მიუნცი, რომ ვაზის ფოთლების გაცლა მავნებელი ყოფილა, როგორც ყურძნისათვის აგრეთვე ღვინის ღირსებისათვის. სასურველია, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ ჩვენმა მევენახეებმა.

— ამ ჟამად საფრანგეთში და განსაკუთრებით პარიჟში ძრიელ მძვინვარებს ხუნაგი. ექიმთა ყურადღება მიქცეულია ამ სენის წინააღმდეგ. ექიმ ფლაგოს, რომელიც ამ სენის შესწავლა-დაკვირვებას შეუდგა, აღმოუჩენია ახალი და ადვილი საშვალება ხუნაგის მოსარჩენად. ეს ახალი წამალი ნავთია თურმე. წარსულ წელს, როდესაც რუანის ახლომახლო ხუნაგი მძვინვარებდა, ფლაგო 70 ავადმყოფსა სწამლობდა. ამათში 30-ს კარბოლისა და სალიცილის სიმჟავით სწამლობდა. 30-ში 9 გარდაიცვალა და 21 მორჩა. ფლაგომ 40 ავადმყოფს კიდევ თავისებურად უწამლა ნავთით და მოარჩინა სუყველანი. ცხადიაო, ამბობს, ფლაგო, რომ ნავთი უებარი წამალი ყოფილა ხუნაგისა. აი როგორ უნდა უწამლოთ ნავთით ხუნაგიანს: ნავთში უნდა ამოავლოთ ფრთა, ან ბამბა და ორ საათში ერთხელ ხუნაგიან ავადმყოფს ყელში წაუსვათ დაავადებულ ადგილას. ნავთი ყელში ამოსულ მუწუკებს მოაცლის და ამ გვარად სუნთქვას გაუადვილებს ავადმყოფს. სამეცნიერო ჟურნალებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ახალ წამალს.

## დეპეშა

4 აპრილი

**პეტერბურგი.** გუშინ დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ გაემგზავრა რომში, იტალიის მეფე დედოფლის 25 წლის ქორწინების გამო დღესასწაულზედ დასასწრებლად.

„სავაჭრო გაზეთი“ იუწყება, რომ ევროპაში წელს ანეულის მოსავალს ცუდი პირი უჩანსო; აგრეთვე ვერ არის კარგი მოსავალი აღმოსავლეთ გერმანიასა და ავსტრი-ვენგრიაში. განსაკუთრებით ცუდი პირი უჩანს ჭვავის მოსავალს.

**ბრიუსელი.** გუშინ კიდევ უწესოება მოხდა. პოლიცია საქმეში ჩაერია; ერთი პოლიციელი დასჭრეს; საღამოთი ისევ მოხდა უწესოება; პოლიციელები ხმლებით დაერივნენ ხალხსა; რამდენიმე კაცი დაიჭრა; ოციოდ კაცი დააპატიმრეს, მათ შორის ერთი დეპუტატი საზოგადოებათა საბჭოსი.

**ათინა.** გუშინ ზანტეში კიდევ მიწა იძვრა. წმ. დიონისის ეკკლესია და მრავალი სახლი დაინგრა; დანარჩენი სახლები ისე დაშავდა, რომ ამ სახლებში დგომა შეუძლებელია.

**ვენა.** ბოლგარიის მინისტრები დღეს ვიარეჯიოს გაემგზავრნენ კობურგელის პრინცის ქორწილზედ დასასწრებლად; სტამბულოვი ჯერ ისევ ავად არის, მაგრამ ისიც გაემგზავრა, თუმცა მკურნალები ბევრს უშლიდნენ, ნუ წახვალო.

## პეტერბურგის ბირჟა, 2 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,70 | 7,73 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 153³/₄ | 154³/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | 1,66 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 242 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 220 |
| 4% მესამე სესხისა. . | 99³/₈ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 195 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — „ | 102 | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | 100¹/₄ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — „ | 102 | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | 100 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 99¹/₄ | — „ |

## ხელ-და-ხელ საჭირო ცნობა

ქუთაისის საოლქო სასამართლოში 25 მაისს ვაჭრობით გაიყიდება ბესარიონ ალექსანდრეს მის გაბაშვილის ორი ორსართულიანი ქვითკირის სახლი და ერთიც ფიცრულის შენობა, ქ. ქუთაისის, ბაღის ქუჩაზედ; დაფასებულია 1000 მანათად.

იქვე და იმავე დღეს გაისყიდება მამული ლუკა იაგორას მის რუხაძისა, ქ. ფოთში ბერძნების ქუჩაზედ; შეიცავს ორ-სართულიან აგურის სახლს ეზოთი; დაფასებულია 2000 მანათად.

იმავე ოლქის სასამართლოში 27 მაისს გაისყიდება მამული ბესარიონ კასილის მის მებუკესი, ქ. ფოთში ბერძნების ქუჩაზედ; შეიცავს ორს თითო-სართულიან სახლს ეზოთი. დაფასებულია 5000 მანათად.

ქ. სიღნაღის სასამართლოს დარბაზში 7 მაისს დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა მიხეილ იაგორას მის ჯილაშვილის მამულებისა. მამულები იმყოფება: 1) ქ. სიღნაღში, ორი თითო-სართულიანი სახლი, დაფასებული ას-ას მან. 2) სოფელ ანაგაში (სიღნაღის მაზრა) ორი საპნის ქარხანა, თითო-სართულიან სახლებითა და ეზოთი; დაფასებულია ას-ას მანათად.

ქ. თელავის სასამართლოში 12 მაისისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ისაკ პეტრეს მის პაატაშვილის მამულის გასასყიდად. მამული იმყოფება სოფ. არტანში; დაფასებულია 600 მანათად.

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

#### ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

#### ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

#### ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

#### ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი


ნიკვისის თმის საღებავი ვ. ვენესი. ქ. ვენაში.

უვნებელი წამალი სწრაფად შესაღებად თმისა და წვერისა შავად, ქერად და წაბლის-ფერად. ფლაკონი ღირს გაგზავნით 3 მანეთი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის

В. АУРИХЪ,

С,-Петербургъ,

Колокольная 18.

(6—1)

ტფილისსა და ქუთაისს და სხვაგანაც ყოველგან, სადაც ან ვისთანაც ქართული წიგნები იშოვნება,

ისყიდება

საღამური,

სასიმღერო ლექსები აკაკისა

სამ შაურად

და

აკლდამები,

ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა ცხოვრების ამბავი

ათ შაურად

რაც უკანასკნელის წიგნის გასაღებით ნაღდი მოგება დარჩება, ის ფული, გამომცემლის სურვილისამებრ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» გარდაეცემა. (3—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფიესა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი შ. მღვიმელისაზი . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ.ერისთ ავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 189რ წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |

„ნევის პარიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ფ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—2)



VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპირველესი საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand ainé

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონიმიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა, და ბამბის ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება ყოველ ზემოხსენებულის სეტყვისაგან დაზღვევისათვის. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—14) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

საპნის ქარხანა

ა. რალლე და კომპ.

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

იაპონური საპონი

„მუსმე“

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.

ახლად გამართული

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—49)


Доз. ценз. Тифлисъ, 6-го Апрѣля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.